



საქართველოს უზენაესი სასამართლო
SUPREME COURT OF GEORGIA

მ ა რ თ ლ მ ს ა ჯ უ ლ ე ბ ა
JUSTICE



1

2008

თამარ ჩიტოშვილი

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა
ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები**

„დელიქტი“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სამართლის დარღვევას, დანაშაულს. გამოძინარე იქიდან, თუ სამართლის რომელ დარგში ხდება დარღვევა, შედეგად შესაბამისი დგება. კერძოდ; სისხლის სამართლის სფეროში სამართლის დარღვევა დანაშაულია, რომელიც იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

სამოქალაქო სამართლის სფეროში სამართლის დარღვევა კი იწვევს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რაც მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში აისახება და სამოქალაქო სამართალში დელიქტური ვალდებულების სახით არის ცნობილი.

ზიანი შეიძლება წარმოიშვას როგორც სახელშეკრულებო, ისე – არასახელშეკრულებო ურთიერთობებიდან.

სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან წარმოშობილი ზიანი სახელშეკრულებო პირობების დარღვევის შედეგია. სახელშეკრულებო პირობების დადგენა ხდება მხარეთა შეთანხმებით როგორც ზოგად, ისე, სპეციალურ ნორმათა მოთხოვნების საფუძველზე, რაც ხელშეკრულებაში საბოლოოდ ყალიბდება არსებითი და ჩვეულებრივი პირობების სახით.

ამდენად, სახელშეკრულებო ზიანის დადგომამდე უკვე არსებობს მხარეთა შორის წინასწარ ჩამოყალიბებული სახელშეკრულებო ურთიერთობა, ეს ურთიერთობა კი, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ყალიბდება სამართლის ნორმათა მოთხოვნების საფუძველზე.

რაც შეეხება არასახელშეკრულებო ზიანს – ეს არის არასახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი ზიანი, ანუ მხარეებს შორის წინასწარ ჩამოყალიბებული სამართლებრივი ურთიერთობა (უფლებები და მოვალეობები) არ არსებობს. ამ შემთხვევაში ზიანი დგება იმ საკანონმდებლო ნორმების დარღვევით, რომელთა შესრულებით უზრუნველყოფილია პირთა ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების (საკუთრების უფლება, პატივი, ღირსება, ჯანმრთელობა და ა. შ.) დაცვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც სახელშეკრულებო, ისე, არასახელშეკრულებო ზიანის დადგომა სამართალდარღვევის შედეგია. სამართალდარღვევა კი არის პირის მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედება, ანუ – დელიქტი. ე.ი. დელიქტური ვალდებულება არის სამართლის დარღვევით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

ამდენად, სიტყვა „დელიქტის“ განმარტებიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი განმარტავს დელიქტურ ვალდებულებას: „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.“

„მართლსაწინააღმდეგო მოქმედება,“ ზოგადად ნიშნავს დადგენილი წესების, პირობების დარღვევას. პირობები და წესები კი, როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, შეიძლება დადგენილ იქნეს როგორც კანონით, ისე, ხელშეკრულებით. ამდენად, დელიქტიც შეიძლება

თუ გავითვალისწინებთ ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს და აქედან გამომდინარე, ვალდებულების სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო სახეებად დაყოფას, მაშინ სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ დელიქტი, ასევე, შეიძლება იყოს როგორც კანონისმიერი, ისე სახელშეკრულებო, გამომდინარე იქიდან, თუ მართლსაწინააღმდეგო ქცევით სამართლის რომელი ნორმები დაირღვა – მხარეთა მიერ ხელშეკრულებით, თუ კანონით დადგენილი. კანონისმიერი დელიქტური ვალდებულებებისაგან განსხვავებით სახელშეკრულებო დელიქტური ვალდებულების დროს სამართლის დარღვევა ხდება იმ პირთა შორის, რომლებიც ერთმანეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებიან. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ როგორც სახელშეკრულებო, ისე, არასახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურებისას და, საერთოდ, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დროს გამოიყენება ზიანის ანაზღაურების მოვალეობის ერთიანი ზოგადი ნორმები.

ამდენად, ხელშეკრულებით დადგენილი ნორმების დარღვევა წარმოადგენს სამართლის დარღვევას და არის დელიქტი, ისევე, როგორც კანონისმიერი, ანუ არასახელშეკრულებო ნორმების დარღვევა.

კანონისმიერი დელიქტური ვალდებულებანი თავისი შინაარსით არ შეიძლება გავაიგივოთ ზოგადად კანონისმიერ (არასახელშეკრულებო) ვალდებულებებთან. კანონისმიერი ვალდებულებისას (უსაფუძვლო გამდიდრება, დელიქტი, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება) ყოველთვის ხდება მიყენებული ზიანის ანაზღაურება, თუმცა, დელიქტური ვალდებულება, როგორც კანონისმიერი ვალდებულების ერთ-ერთი სახე, არის ვალდებულება, რომელიც უკავშირდება იმ მოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, რომლებიც სრულდება არა მხარეთა შორის წინასწარი შეთანხმებით, არამედ – პირის (პირთა) მიერ განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, (ანუ ბრალით), რაც გამორიცხვულია ისეთი კანონისმიერი ვალდებულებისას, როგორცაა უსაფუძვლო გამდიდრება და დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება. რაც შეეხება სახელშეკრულებო დელიქტურ ვალდებულებებს, ამ შემთხვევაში ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე პირობების ბრალეულ დარღვევა. აქ გასათვალისწინებელია როგორც იმპერატიული, ისე, დისპოზიციური ნორმებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა, ან არაჯეროვანი შესრულება, ე.ი. როდესაც აღნიშნული პირობები არ სრულდება, ან სრულდება შეცვლილი სახით, რაც იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას, მაგალითად: მიმწოდებელი არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიწოდების ვადას და მიმღები 10 დღის დაგვიანებით იღებს საჭირო ნედლეულს. მიმწოდებლის მიერ მიწოდების ვადის, ანუ ხელშეკრულებით დადგენილი პირობის დარღვევა ითვლება მართლსაწინააღმდეგო ქცევად, რაც მიმწოდებელს აკისრებს იმ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, რომელიც მიმღებმა განიცადა ნედლეულის ვადის გადაცილებით მიღების შედეგად. ამდენად, დელიქტური ვალდებულების მთავარი მახასიათებელი თავისებურებაა ქმედების ბრალეულობა, რასაც ზიანი მოჰყვა. ბრალის გარეშე დამდგარი ზიანი, რომელიც ექვემდებარება ანაზღაურებას, არ წარმოადგენს დელიქტურ ვალდებულებას, მაგალითად; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 718-ე მუხლის თანახმად, მარწმუნებელი მოვალეა, ანაზღაუროს მისი ბრალის გარეშე დამდგარი ზიანიც, რომელიც წარმოეშვა რწმუნებულს დავალებული მოქმედების შესრულებისას. თუ ზიანი დადგა დავალებული მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საფრთხის შედეგად მარწმუნებლის მითითების გამო, იქიდან გამომდინარე, თუ მართლსაწინააღმდეგო ქცევის შედეგად ვის ქონებას ადგებოდა ზიანი და, შესაბამისად, ვისი ინტერესები ილახებოდა, რომის სამართალი დელიქტურ ვალდებულებებს ორ სახედ ყოფდა, კერძოდ; საჯარო და კერძო ხასიათის

იყოს როგორც კანონისმიერი, ისე, სახელშეკრულებო, ე.ი. სახელშეკრულებო ურთიერთობების დროს წარმოშობილი ზიანი, ასევე, შეიძლება დადგეს ერთ-ერთი მხარის მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით.

უდავოდ მისაღებია აზრი იმის შესახებ, რომ დელიქტი ხელშეკრულებით, ანუ მხარეთა წინასწარი შეთანხმებით არ შეიძლება წარმოიშვას, თუმცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების (პირობის) მხარეთა მიერ ბრალეული მოქმედებით დარღვევა დელიქტია და, ვფიქრობთ, ეს აზრი დავას არ იწვევს. სწორედ ასეთი დელიქტი წარმოადგენს სახელშეკრულებო დელიქტს, რომელსაც გააჩნია წარმოშობის უშუალო და ზოგადი საფუძველი. ასეთი დელიქტის წარმოშობის უშუალო საფუძველი არის ხელშეკრულების პირობების (პირობის) დარღვევა, რასაც მოსდევს დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ააქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ასეთი ზიანის ანაზღაურება არის სახელშეკრულებო დელიქტური ვალდებულება, რომელიც სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ უშუალოდ ხელშეკრულებით, ანუ მხარეთა წინასწარი შეთანხმებით წარმოიშობა ზიანი და მისი ანაზღაურების ვალდებულებაც.

დოქტრინაში მოიძებნება მოსაზრებები, სადაც საწინააღმდეგო აზრები იკვეთება, ანუ დელიქტი არის მხოლოდ „არასახელშეკრულებო“ ზიანი, რომელიც სამართალდარღვევიდან წარმოიშობა, ხოლო, სახელშეკრულებოა ზიანი, რომელიც დგება იმ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქცევით, რომლებიც ერთმანეთთან ვალდებულებით ურთიერთობაში იმყოფებიან. სწორედ ეს აზრი იკვეთება პროფესორ შ. ჩიკვაშვილის ნაშრომიდან, სადაც ის ასაბუთებს შემდეგს: „სახელშეკრულებო ზიანი შეიძლება მიყენებულ იქნეს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების, კანონის ან ადმინისტრაციული აქტის შეუსრულებლობით, იმის გათვალისწინებით, რომ ზიანისმიყენებამდე მხარეები უკვე იმყოფებოდნენ განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობაში. პასუხისმგებლობა ამ ურთიერთობის დარღვევით გამოწვეული ზიანისათვის განისაზღვრება შესაბამისად ხელშეკრულების პირობებით ან იმ კანონით, რომელიც არეგულირებს მოცემულ სამართლებრივ ურთიერთობებს. „არასახელშეკრულებოდ“ ითვლება ზიანი, რომელიც მიყენებულია ისეთი დარღვევის შედეგად, როდესაც მხარეები არ იმყოფებოდნენ ვალდებულებით ურთიერთობაში“.

„არასახელშეკრულებო ზიანი წარმოიქმნება უშუალოდ სამართალდარღვევიდან (დელიქტი), ამიტომ მას დელიქტურ ვალდებულებებს უწოდებენ. მას ხშირად უწოდებენ ასევე „სამართალდარღვევიდან წარმოშობილ ვალდებულებას“. „უნებართვო ქმედებისაგან წარმოშობილ ვალდებულებას“¹ აღნიშნულს ვერ გავიზიარებთ შემდეგ გარემოებათა გამო: მიმაჩნია, რომ „სახელშეკრულებო ზიანი“ ასევე წარმოადგენს „სამართალდარღვევის“, შედეგს, „სამართალდარღვევას“ კი წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეთა ისეთი ბრალეული ქმედება, რომელიც უკავშირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების, ან იმ საკანონმდებლო ნორმების შეუსრულებლობას, რომელიც არეგულირებს კონკრეტული სახის ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ურთიერთობებს. აამიტომ ზიანი, რომელიც (მართლსაწინააღმდეგო ქცევის) სამართალდარღვევის შედეგად დადგა, იქნება ეს სახელშეკრულებო, თუ არასახელშეკრულებო, არის დელიქტის შედეგი და მისი ანაზღაურება წარმოადგენს დელიქტური ხასიათის ვალდებულებას.

¹ შ. ჩიკვაშვილი, დელიქტური ვალდებულებანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 4, ტ.2, 2001წ. გვ.379.

დელიქტურ ვალდებულებებად. საჯარო ხასიათის დელიქტური ვალდებულებების დროს სახელმწიფოსთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება ხდებოდა სისხლის სამართლის წესით.² დღეს მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე სახელმწიფო ისევე მონაწილეობს კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, როგორც – კერძო (არასახელმწიფო) პირები, ამიტომ, აღნიშნულ ურთიერთობებში მონაწილეობებისას სახელმწიფოს მიმართ წარმოშობილი უფლებებისა და მოვალეობების რეგულირება ასავე, ხდება სამოქალაქო სამართლებრივი კანონმდებლობით, თუმცა კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობისას, თუ მოხდა სამართალდარღვევა, და ამით დაირღვა სახელმწიფოს, როგორც კერძო სამართალურთიერთობის მხარის, ინტერესი და მას მიაღვა ზიანი, ეს ნიშნავს, რომ დაირღვა საჯარო ხასიათის ინტერესი და არსებობს საჯარო ხასიათის დელიქტურ ვალდებულება, სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. რაც შეეხება შემთხვევას, როდესაც სახელმწიფოს მიმართ გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება დანაშაულებრივი ხასიათისაა და იწვევს სახელმწიფოსა და ზოგადად საზოგადოების ინტერესების შელახვას, მაშინ, პასუხისმგებლობის საკითხიც რეგულირდება საჯარო სამართლებრივი კანონმდებლობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ დელიქტის შედეგად ვის მიაღვა ზიანი, კერძო პირს თუ სახელმწიფოს, ე. ი. ვის წინაშე დგება პასუხისმგებლობა. ამ შემთხვევაში უფრო მეტად საყურადღებოა ის მომენტი, თუ ვისი ქონებრივი ინტერესი შეილახა და რა წესით მოხდება ამ ზიანის ანაზღაურება. ამიტომაც, მიგვაჩნია, რომ დელიქტური ვალდებულებების სახეობად (კერძო და საჯარო) დაყოფას სამართლებრივი საფუძველი გააჩნია.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ზიანი შეიძლება წარმოიშვას როგორც არამართლზომიერი, ისე, მართლზომიერი ქმედების შედეგად. მართლზომიერი ქმედებით გამოწვეული ზიანი გულისხმობს, რომ ზიანი დადგა ბრალის გარეშე, რაც გამოწვეულია აუცილებლობით, უკიდურესი აუცილებლობით ან კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობით. ბრალის გარეშე დამდგარი ზიანი გარკვეულ შემთხვევებში ექვემდებარება ანაზღაურებას, თუმცა, ასეთი ზიანი ექვემდებარება თუ არა ანაზღაურებას, მაინც არ წარმოადგენს დელიქტურს, ვინაიდან იგი გამოწვეულია მართლზომიერი ქმედების შედეგად. დელიქტური ვალდებულების და, შესაბამისად, ზიანის ცნება და მისი არადელიქტურისაგან გამიჯვნის საფუძველი იკვეთება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შინაარსით, სადაც, როგორც უკვე იყო აღნიშნული, დელიქტურია ზიანი, რომელიც დადგება მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით, ყოველთვის ექვემდებარება ანაზღაურებას. იგივე აზრია გატარებული გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფში. მისი შინაარსიდან გამომდინარე ზიანის ცნება უფრო დაკონკრეტებული და დეტალიზებულია, კერძოდ, პირი, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლობით მართლსაწინააღმდეგოდ მიაყენებს ზიანს სხვა პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ხელყოფს მის თავისუფლებას, საკუთრებას, ან სხვა უფლებას, ვალდებულია, აუნაზღაუროს დაზარალებულს მიყენებული ზიანი. იგივე ვალდებულება წარმოეშობა პირს, რომელიც არღვევს კანონს სხვა პირის დასაცავად. თუ ამ კანონის შინაარსის შესაბამისად მისი დარღვევა შესაძლებელია ბრალის გარეშე, მაშინ ზიანის ანაზღაურების ამ ვალდებულების დაკისრება მოხდება მხოლოდ ბრალის არსებობისას.

ამდენად, აღნიშნული ნორმით განსაზღვრულია ჩამონათვალი (პირის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრების უფლება, თავისუფლება და სხვა უფლება.), თუ რას ადგება ზიანი, რაც არ არის მოცემული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის

²И.Б.Новицкий, И.С.Перетерский. Римское частное право, 1996, стр.521.

რედაქციაში, თუმცა, მასში დელიქტი ზოგადაა განმარტებული თავისთავად მოიცავს ზემოხსენებულ ჩამონათვალსაც.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შინაარსს შორის კიდევ არის ერთი მთავარი საერთო ნიშანი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დელიქტური ვალდებულება არის ისეთი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა როგორც სახელმწიფოებრივი პირობების, ისე, კანონისმიერი ნორმების დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანის დროს.

გამომდინარე იქიდან, თუ ვისგან, ან რას ადგება ზიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აკონკრეტებს შემდეგი სახის დელიქტურ ვალდებულებებს: ზიანის მომტანი ცნობების გახმაურების შედეგად წარმოშობილი (993-ე); არასრულწლოვანის პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის (მუხ. 994-ე); სულით ავადმყოფის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება (მუხ. 995-ე); დროებით სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მიყენებული ზიანის ანაზღაურება (მუხ. 996-ე); სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება (მუხ. 997-ე);

სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის (მუხ. 998-ე); სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (მუხ. 999-ე); პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის (მუხ. 1000-ე); ხანძრის ჩაქრობის დროს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება (მუხ. 1001-ე); ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება (მუხ. 1003-ე); შენობის ჩამოქცევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება (მუხ. 1004-ე); სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის (მუხ. 1005-ე); ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის გარდაცვალებისას (მუხ. 1006-ე); სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება (მუხ. 1007-ე) მიმაჩნია, რომ აღნიშნული ჩამონათვალი არ წარმოადგენს დელიქტურ ვალდებულებათა ამომწურავ ნუსხას. შესაძლებელია დადგეს ზიანის წარმოშობის კონკრეტული შემთხვევა, რომელიც არ იყოს მოცემული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით, თუმცა იგი დაექვემდებაროს კანონისმიერ დელიქტურ ვალდებულებათა შესრულების ზოგად ნორმებს და მოხდეს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. დელიქტურ ვალდებულებათა გაცილებით მეტ სახეს მოიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (§§ 823-853). ბევრი საერთო სახის მიუხედავად, არის დელიქტურ ვალდებულებათა ისეთი სახეებიც, რომლებიც არ არის მოცემული საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, მაგალითად: პასუხისმგებლობა ნივთის შემთხვევით ამოღებისას (§848-ე); არაუფლებამოსილი პირისთვის ანაზღაურება (§851-ე); ზედამხედველობაზე ვალდებული პირის პასუხისმგებლობა (§832-ე); სექსუალური მოქმედების იძულება (§825-ე); და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, დელიქტურ ვალდებულებათა ამ სახეებს კონკრეტულად არ იცნობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თუმცა ამ ვალდებულებებიდან გამომდინარე ურთიერთობები მეტნაკლებად მაინც რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის როგორც ზოგადი, ისე, სპეციალური ნორმების საფუძველზე. დეტალურად განვიხილავთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემულ დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთ სახეს, კერძოდ: 1004-ე მუხლის, რომელიც არეგულირებს შენობის ჩამოქცევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხებს, რომელიც როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა.

აღნიშნული ნორმის თანახმად:

„1. შენობის მესაკუთრე ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც შენობის ჩამოქცევის ან მისი ცალკეული ნაწილების ჩამონგრევის შედეგად წარმოიშვა, გარდა იმ

შემთხვევისა, როცა ზიანი არ არის გამოწვეული შენობის არასათანადო მოვლით ან შენობის ნაკლით.

2. თუ ზიანი მიყენებულია შენობიდან საგნის გადაგდებით, გადავარდნით ან გადაღვრით, პასუხს აგებს პირი, რომელსაც დაკავებული აქვს სადგომი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზიანი დადგა დაუძლეველი ძალის მოქმედებით, ან დაზარალებულის ბრალით.“

ნორმის პირველი პუნქტის შინაარსი მთლიანად ვრცელდება მხოლოდ მესაკუთრეზე, რაც განპირობებულია ზიანის წარმოშობის საფუძვლით – შენობის ჩამოქცევით, ან მისი ცალკეული ნაწილების ჩამონგრევით. აქ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები, კერძოდ: შენობის ჩამოქცევა ან ცალკეული ნაწილების ჩამონგრევა უნდა მოხდეს მესაკუთრის ბრალეული ქმედებით, ანუ, თუკი შენობა მისი ხანგრძლივი, ან არასწორი ექსპლუატაციის შედეგად საჭიროებს მიმდინარე ან კაპიტალურ რემონტს, ან მესაკუთრის ბრალის გარეშე, დაუძლეველი ძალის (სტიქიური მოვლენების) შედეგად, გახდა ავარიული და გადაუდებელი იყო აუცილებელი ზომების მიღება, რაც დროულად არ გაითვალისწინა მესაკუთრემ და არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები, ასეთ შემთხვევაში მესაკუთრე ვალდებულია, აუნაზღაუროს დაზარალებულს შენობის ჩამოქცევით ან ცალკეული ნაწილების ჩამონგრევით მიყენებული ზიანი. შენობის ჩამოქცევაში იგულისხმება როგორც შენობის მთლიანად, გარეგანი თუ შიდა კედლების, მოწყობილობების და სახურავის, ისე შესაძლებელია შენობის მხოლოდ შიდა კედლებისა და მოწყობილობების ჩამოქცევა. რაც შეეხება შენობის ცალკეულ ნაწილებს, მასში იგულისხმება შენობის სახურავის გარკვეული მონაკვეთი, რომელიმე კედელი, ან მისი ნაწილი, ფანჯარა, კარები, ან მათი რაიმე დეტალი (მაგ: მინა). ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს ეს შენობა-ნაგებობა არის საცხოვრებელი თუ არასაცხოვრებელი. იგივე წესები უნდა გავრცელდეს იმ დამხმარე ნაგებობაზე, ან ტექნიკურ მოწყობილობაზე, რომელიც მთავარი შენობის სამსახურისთვის და მისი უკეთ გამოყენებისთვის არის გათვალისწინებული. საჭიროდ გასატარებელ ღონისძიებებში მოიაზრება: მიმდინარე ან კაპიტალური რემონტის დროული დაწყება, შენობის ან მისი საშიში მონაკვეთების სათანადო წესით იზოლირება გარშემომყოფთაგან და, ასევე, იმ პირთა გარკვეული წესით ინფორმირება მოსალოდნელი საფრთხისა და მისი წყაროს შესახებ, რომელთაც შენობის ჩამოქცევით ან მისი ცალკეული ნაწილების ჩამონგრევით შეიძლება მიადქეთ ზიანი. ზიანი შეიძლება მიადგეს როგორც პირთა (პირის) ჯანმრთელობას, ასევე, მათ მოძრავ თუ უძრავ ქონებას. მესაკუთრე თავისუფლდება ამგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუკი შენობის ჩამოქცევა ან მისი ცალკეული ნაწილების ჩამონგრევა მოხდა მესაკუთრის ბრალის გარეშე, მაგალითად, დაუძლეველი ძალით (წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი, ხანძარი), რომლის გაუუვნებლობა და შესაბამისი შედეგების თავიდან აცილება შეუძლებელი იყო.

1004-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა სამართლებრივად კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საკუთრება და მესაკუთრის უფლებები არ არის აბსოლუტური და შეუზღუდავი. საკუთრების უფლება გარკვეულწილად ვალდებულია. ყოველივე ეს მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლში, რომლის თანახმად:

„1. მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ქონებით სარგებლობა. განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.

2. უფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება საკუთრებით ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი ისე, რომ არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელია.

3. სარგებლობის უფლება მოიცავს ასევე შესაძლებლობას, არ ისარგებლოს პირმა თავისი ნივთით. კანონით შეიძლება დაწესდეს სარგებლობის ან მოვლისა და შენახვის ვალდებულება, თუკი ამ ნივთის გამოყენებლობა ან მოუვლელობა ხელყოფს საზოგადო ინტერესებს, ამ შემთხვევაში მესაკუთრეს შეიძლება ან თვითონ დაეკისროს ვალდებულების შესრულება, ან შესაბამისი სასყიდლით ნივთის გადაცემა სხვა პირის სარგებლობაში”.

აღნიშნული ნორმის პირველი პუნქტით ვლინდება მესაკუთრის როგორც შეზღუდული, ისე, თავისუფალი უფლებები. მესაკუთრეს თავისი ქონებით სარგებლობის უფლება გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება შეზღუდოს კანონით, მესამე პირთა სასარგებლოდ. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ისეთი სანივთო უფლება, როგორცაა, მაგალითად, სერვიტუტი, რომლის დროსაც პირს, გარკვეული მოცულობით ეზღუდება თავისი ქონებით სარგებლობის უფლება, რისი დათმობაც მესაკუთრეს უწევს სხვა, კონკრეტული პირის სასარგებლოდ. ასევე, შეიძლება განვიხილოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც მესაკუთრეს თავისი ქონებით სარგებლობისას ეკრძალება ისეთი საქმიანობის (ქმედების) განხორციელება, რამაც შეიძლება სხვა პირებს (ან საზოგადოებას) მოუტანოს ზიანი, მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეიძლება შეეზღუდოს თავის ნაკვეთზე ისეთი ნაგებობის აღმართვა, რომელიც შეზღუდავს მეზობელი ნაკვეთის სრულყოფილად გამოყენების შესაძლებლობას და ა. შ.

რაც შეეხება მესაკუთრის უფლების სახელშეკრულებო შეზღუდვას, აქ იგულისხმება მესაკუთრის ნებიდან გამომდინარე ისეთი ხელშეკრულების დადება, რომელიც გარკვეული პირობებით უზღუდავს მას თავისი ქონებით სრულფასოვან სარგებლობას და მის უშუალო ექსპლუატაციას, მაგალითად, ქირავნობის, იჯარის, თხოვების ხელშეკრულებები. აქვე შეიძლება დავასახელოთ სანივთო ხასიათის გარიგებები: იპოთეკა და გირავნობა.

ხელშეკრულებით, ასევე, შეიძლება შეიზღუდოს მესაკუთრის უფლება – თავისუფლად განკარგოს თავის საკუთრებაში არსებული ქონება. ეს არის მხარეებს შორის (ნებაყოფლობით) დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს გამოსყიდვის უფლებას. მხარეთა მიერ ნებაყოფლობით გათვალისწინებული ამ პირობის შესრულება უზრუნველყოფილია კანონით.

მესაკუთრის აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს, აგრეთვე, თანაზიარ მესაკუთრეთა უპირატესი შესყიდვის უფლებით, რომელიც ძალაშია მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინების შემთხვევაში (მუხ. 173-ე, მე-4). აღნიშნულ ნორმაში ცვლილების შეტანამდე უპირატესი შესყიდვის უფლება თანამესაკუთრეებს მინიჭებული ჰქონდათ კანონით. შეცვლილი წესი თანამესაკუთრეებს უფლებას ანიჭებს, კონკრეტულ შემთხვევაში, თავად განსაზღვრონ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების საკითხი.

მესაკუთრის თავისუფლება მის საკუთრებაში არსებულ ნივთთან მიმართებით (ისარგებლოს, ან არ ისარგებლოს, მოახდინოს მისი ექსპლუატაცია სათანადო წესების დაცვით, ან არა; აღადგინოს, ან არა დაზიანების შემთხვევაში და ა. შ.) შეიძლება შეიზღუდოს გარკვეული ვალდებულებით, რაც პირდაპირ გამომდინარეობს 170-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან. მესაკუთრეს უფლება არა აქვს, უყურადღებოდ მიატოვოს თავის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობა (მიუხედავად იმისა, სარგებლობს თუ არა ამ ნაგებობით), რომელსაც სიძველის ან სხვა გარემოებათა გამო ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება, რამაც შეიძლება ზიანი მიყენოს მეზობელი მიწის ნაკვეთის, ან ნაკვეთისა და მასზედ არსებული უძრავი თუ

მოძრავი ქონების მესაკუთრეს, ან თუ მოსალოდნელი ზიანი შესაძლებელია მიაღვეს ნებისმიერ სხვა პირს. ასეთი ქონების მესაკუთრეს ევალება, უზრუნველყოს მოსალოდნელი საფრთხის აღკვეთა, ვალდებულია, გაატაროს ყველა შესაბამისი ღონისძიება, რათა არ დაღვეს ზიანი. აღნიშნული ხასიათის ვალდებულებათა პირდაპირ დაკისრება გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 177-ე მუხლით, კერძოდ: „თუ მიწის ნაკვეთს მეზობელი ნაკვეთიდან შენობის ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება, მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს აუცილებელ ღონისძიებათა გატარება ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. დაუშვებელია რამდენიმე მიწის ნაკვეთზე გამდინარე წყლებისა და მიწისქვეშა წყლების მიმართულების შეცვლა, ან ამ წყლებით მანიპულირება ისე, რომ ამან სხვა მიწის ნაკვეთზე წყლის რაოდენობის შემცირება ან/და ხარისხის გაუარესება გამოიწვიოს, დაუშვებელია მდინარეთა ბუნებრივი დინების ხელყოფა“. მესაკუთრისათვის კანონით დაკისრებულ აღნიშნულ მოვალეობათა შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება კი წარმოადგენს კანონისმიერ დელიქტურ ვალდებულებას.

მესაკუთრისათვის გარკვეული სახის ვალდებულების დაკისრება ხშირად მიმართულია როგორც კერძო, ისე, საჯარო ხასიათის ინტერესთა დაცვისაკენ, მაგალითად: მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს უფლება არა აქვს, არ ამუშავებდეს და არ სარგებლობდეს თავისი მიწის ნაკვეთით, ამასთან, თუ მას არა აქვს სურვილი ან შესაძლებლობა, რომ უშუალოდ თვითონ დაამუშაოს მიწის ნაკვეთი, ან ვერ იხდის დადგენილ გადასახადს, მას ეკისრება კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები. ეს იმით არის განპირობებული, რომ მიწა წარმოადგენს საკუთრების უფლების განსაკუთრებულ ობიექტს, რომლის „უზენაეს“ მესაკუთრედ ყოველთვის ითვლება სახელმწიფო. ამდენად, მიწის ნაკვეთის უსარგებლოდ დატოვება და მისგან გამომდინარე შედეგები პირდაპირ უკავშირდება საზოგადოების და ზოგადად სახელმწიფოს ინტერესებს. სწორედ ამ ინტერესების დაცვას ემსახურება მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა უფლების შეზღუდვა. მესაკუთრის უფლებების შეზღუდვის საფუძვლები რომის სამართლიდან მომდინარეობს, რომელიც ყოველთვის აღიარებდა მესაკუთრის უფლებათა შეზღუდვის კონკრეტულ შემთხვევებს რიგი გარემოებების გათვალისწინებით. ეს გარემოებები ყოველთვის იყო სახელმწიფოს თუ საზოგადოების (სხვა პირთა) ინტერესების დაცვა, რაც უფრო მეტი აუცილებლობით იყო განპირობებული, ვიდრე – თავად მესაკუთრისა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია 1004-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად: „თუ ზიანი მიყენებულია შენობიდან საგნის გადაგდებით, გადავარდნით, ან გადაღვრით, პასუხს აგებს პირი, რომელსაც დაკავებული აქვს სადგომი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანი დადგა დაუძლეველი ძალის მოქმედებით ან დაზარალებულის ბრალით“.

აღნიშნულ შემთხვევაში დაზარალებულს ზიანი ადგება არა უშუალოდ შენობით ან მისი ნაწილებით, არამედ შენობაში არსებული საგნებით, უფრო კონკრეტულად – მათი მოხმარებისა და შენახვის წესების დარღვევით. პასუხისმგებლობა კი შეიძლება დაეკისროს პირს, რომელსაც დაკავებული აქვს სადგომი. ასეთი პირი კი შეიძლება იყოს როგორც მესაკუთრე, ისე, პირი, რომელსაც კანონიერი საფუძვლით მიღებული აქვს შენობით სარგებლობის უფლება. მაგალითად: დამქირავებელი, მოიჯარე, აგრეთვე, პირი, რომელიც უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობს სადგომით. 1004-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევის დროს პასუხისმგებელი, დამდგარი ზიანის ანაზღაურებაზე, არის მხოლოდ მესაკუთრე.

დამდგარი ზიანის ანაზღაურებაზე მესაკუთრე პასუხს აგებს მაშინაც, როდესაც ზიანი დადგა იმ პირის ბრალეული თუ არაბრალეული ქცევით, რომელიც არ არის დროებით

მოსარგებლე (დამქირავებელი, მოიჯარე და სხვა). ასეთი პირი შეიძლება იყოს მაგალითად, სტუმარი. ასეთი პირის არამართლზომიერი ქცევის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, დაზარალებული პირის მიერ პირდაპირ წაყენება სადგომის მესაკუთრეს, რომელიც ვალდებულია სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში თვითონ დააკმაყოფილოს დაზარალებული პირის მოთხოვნა. მესაკუთრე თავის მხრივ უფლებამოსილია გამოიყენოს რეგრესის უფლება და შესაბამისი მოთხოვნა წაუყენოს ვალდებულ პირს. ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დადგება თუ შენობიდან რაიმეს გადავარდნა, ან გადაღვრა მოხდა დაუძლეველი ძალის გამო (მიწისძვრა, ქარი და სხვა), ან დაზარალებულის ბრალეული მოქმედებით. ნაგებობით მოსარგებლე პირი ვერ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ ზიანი დადგება შენობის რომელიმე მონაკვეთზე (კედელი, ფანჯარა, აივანი) მიმაგრებული ნივთის გადავარდნით, თუ ეს გადავარდნა მოხდა არა დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით, არამედ იმის გამო, რომ იგი არასწორად იყო დამაგრებული, ან გარკვეული მიზეზების გამო საჭიროებდა ხელახლა დამაგრებას, და ვალდებული პირის მიერ არ გატარდა სათანადო ღონისძიებები, თუმცა მან იცოდა, ან უნდა სცოდნოდა აღნიშნულის საჭიროების შესახებ. რაც შეეხება დაზარალებულის ბრალეულობას, ეს შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა სახით, კერძოდ: ზიანის გამომწვევი საფრთხე წარმოიშვა მისი ბრალეული მოქმედებით, ან შეეძლო თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი ზიანი, ანუ მოესპო საფრთხის წყარო, რაზედაც მან არ იზრუნა და ა.შ. მაგალითად: თუ მესაკუთრე გარკვეული დროის განმავლობაში არ იმყოფება ადგილზე და მან არ იცის და არც შეეძლო სცოდნოდა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, შესაბამისად ის ვერც მიიღებდა ზომებსა მის თავიდან ასაცილებლად, თუმცა დაზარალებულს შეეძლო უზრუნველყო დამდგარი შედეგის აცილება, რაც არ გააკეთა.

1004-ე მუხლის მეორე ნაწილი, ერთი შეხედვით, ემსგავსება 1000-ე მუხლს, რომლის თანახმად:

„1. თუ ამა თუ იმ ნაგებობიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე ამ ნაგებობაში წარმოებული, მოთავსებული ან მიწოდებული ენერჯისაგან, ანდა ხანძარსაშიში, ან აფეთქებასაშიში, შხამიანი ანდა მომწამვლელი ნივთიერებებისაგან, მაშინ ამ ნაგებობის მფლობელი ვალდებულია, თუკი ამ საფრთხის პრაქტიკული განხორციელებას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანება, ანდა ნივთის დაზიანება აუნაზღაუროს დაზარალებულს აქედან წარმოშობილი ზიანი. იგივე პასუხისმგებლობა გამოიყენება ხანძარსაშიში ან აფეთქებასაშიში შხამიანი ან მომწამვლელი ნივთიერების მფლობელების მიმართ, როცა ამ ნივთიერებებიდან მომეტებული საფრთხე გამომდინარეობს.

2. თუ ამა თუ იმ ნაგებობიდან ან ნივთიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე სხვაგვარი საფუძვლით, ვიდრე ამ მუხლის პირველ ნაწილშია აღნიშნული, ნაგებობის ან ნივთის მფლობელი ვალდებულია ანალოგიურად აანაზღაუროს საფრთხის ვგანხორციელების შედეგად წარმოშობილი ზიანი.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამორიცხულია, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ზიანი გამოწვეულია ელექტროგადამცემი ხაზების ავარიით, ანდა ნავთობის, გაზის, წყლის ან ნავთობპროდუქტების მიმწოდებელი მოწყობილობების დაზიანებებით.

4. რადიაციული ნივთიერების გამოყენებით გამოწვეული ზიანი უნდა აანაზღაუროს მისმა გამომყენებელმა.“

აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ეკისრება მფლობელს. კონკრეტულ შემთხვევაში პირი, ერთი მხრივ, შეიძლება იყოს ნაგებობის მფლობელი და, მეორეს მხრივ, პირი, რომელიც არის ხანძარსაშიში, ან ფეთქებადსაშიში, შხამიანი, ან მომწამვლელი ნივთიერების მფლობელი რომელთა პასუხისმგებლობა (ნორმიდან გამომდინარე) ერთნაირად განისაზღვრება.

როგორც წესი, არსებობს ნივთზე ფაქტობრივი მფლობელობა და იურიდიული მფლობელობა, ამიტომ მნიშვნელოვანია ყოველთვის ზუსტად დადგინდეს, თუ რომელი პირი ითვლება მფლობელად, რომელსაც უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა.

მფლობელი შეიძლება იყოს როგორც მესაკუთრე, ისე არამესაკუთრე. იურიდიული მფლობელობა არ ნიშნავს ნივთზე მხოლოდ ფიზიკურ ხელშემხებლობას, ფაქტობრივ ბატონობას – „ჭერას“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ზუსტად განსაზღვრავს, თუ სამართლებრივი თვალსაზრისით როდის ითვლება პირი მფლობელად, კერძოდ: „მფლობელად არ ითვლება ის პირი, რომელიც თუმცა ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, მაგრამ სხვა პირის სასარგებლოდ და რომელსაც ნივთის ფლობის უფლებამოსილება მიღებული აქვს ამ პირისაგან. მფლობელად მიიჩნევა მხოლოდ უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირი.

თუ პირი ნივთს ფლობს იმ სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრული ვადით ანიჭებს მას ნივთის ფლობის უფლებას ან ავალდებულებს მას ფლობდეს ნივთს, მაშინ ეს პირი ითვლება პირდაპირ მფლობელად, ხოლო უფლების მიმნიჭებელი ან ვალდებულების დამკისრებელი მიიჩნევა არაპირდაპირ მფლობელად“ (მუხ. 155).

ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ პირი ჩაითვალოს იურიდიულ მფლობელად, საჭიროა აკმაყოფილებდეს ორ პირობას, პირველი: მას უნდა გააჩნდეს ფლობის იურიდიული საფუძველი (საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან სარგებლობის უფლების საფუძველი: ქირავნობის, იჯარის, თხოვების ხელშეკრულებები) და მეორე – მფლობელობა მიმართული უნდა იყოს მფლობელის პირადი სარგებლობისათვის და ინტერესებისათვის და არა მფლობელობის უფლების მიმნიჭებელი პირისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მე-1000 მუხლში მითითებული ნაგებობის მფლობელად ითვლება ამ ნაგებობის მესაკუთრე, ან მესაკუთრისაგან უფლებამოსილი პირი (დამქირავებელი, მოიჯარე და ა. შ.). აქვე იკვეთება ხანძარსაშიში, ან აფეთქებასაშიში შხამიანი ან მომწამვლელი ნივთიერების მფლობელი. ასეთ მფლობელად კი ითვლება პირი, რომელიც არის აღნიშნული ნივთიერების მესაკუთრე, მწარმოებელი ან მოსარგებლე და ამის სათანადო საფუძველი გააჩნია.

დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მფლობელს რომ დაეკისროს დაეკისროს, ამისათვის უნდა არსებობდეს პასუხისმგებლობის ზოგადი საფუძველები:

ა) მართლსაწინააღმდეგო ქცევა – რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება აისახოს მომეტებული საფრთხის წყაროს შენახვის, წარმოების, მიწოდების, ექსპლუატაციის და ა. შ. წესების დარღვევით;

ბ) შედეგი, ანუ ზიანი, რომელიც მიადგა ადამიანთა ჯანმრთელობას, ქონებას, ანდა, მართლსაწინააღმდეგო ქცევას მოჰყვა ადამიანთა სიკვდილი;

გ) მიზეზობრივი კავშირი, რომელიც არსებობს კონკრეტულ ქცევასა და დამდგარ შედეგს შორის;

დ) ბრალი – ეს არის აუცილებელი ელემენტი, იმისათვის, რომ აღნიშნულ ნორმაში მითითებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშვას. პასუხისმგებლობა

გამორიცხება და, შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დადგება, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშევა იმ შემთხვევაში, თუ ზიანი დადგა ელექტროგადამცემი ხაზების ავარიით, ანდა ნავთობის, გაზის, წყლის ან ნავთობპროდუქტების მოწოდებელი მოწყობილობების დაზიანებით. ეეს შესაძლებელია იყოს ის შემთხვევები, როდესაც მითითებული ავარია, ან დაზიანება გამოწვეულია მფლობელის უყურადღებობით, დროულად არ მოხდა არსებული ხარვეზების, მცირე დაზიანებების და იმ ხელისშემშლელი გარემოებების გამოსწორება, რომელთა არსებობამაც შექმნა ზიანის გამომწვევი ავარიები და დაზიანებები.

იგივე წესებით უნდა მოხდეს რადიაციული ნივთიერებების გამოყენებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მისი გამოყენებლის მიერ.

განხილული ნორმების პარალელურად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, განვიხილოთ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 836-ე პარაგრაფი, რომლის პირველი პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, თუ მიწის ნაკვეთზე განლაგებული შენობა-ნაგებობის, ან სხვა მოწყობილობის, ან მათი ნაწილის ჩამოქცევის შედეგად დაიღუპება ადამიანი ან მიიღებს სხეულის დაზიანებას, ან ზიანი მიადგება მის ჯანმრთელობას, ან დაზიანდება ნივთი, იმ მიწის ნაკვეთის მფლობელი ვალდებულია აუნაზღაუროს დაზარალებულს მიყენებული ზიანი, იმ პირობით, რომ ნაგებობის ან მოწყობილობის დანგრევა ან ნაწილობრივ ჩამოქცევა მოხდა მისი აშენებისას დაშვებული შეცდომის გამო, ან არასათანადო ექსპლუატაციის შედეგად. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშევა, თუ მფლობელმა საშიშროების თავიდა აცილების მიზნით განახორციელა სათანადო ღონისძიებები. აღნიშნულიდან გამომდინარე იკვეთება შენობა-ნაგებობის მფლობელის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ორი ძირითადი საფუძველი: პირველი – თუ შენობა-ნაგებობიდან გამომდინარე საფრთხის წარმოშობის საფუძველი არის დაუძლეველი ძალა, ანუ, თუ საფრთხის წყაროს არ წარმოადგენს მშენებლობის ხარვეზები, ან შენობის არასათანადო ექსპლუატაცია. არასათანადო ექსპლუატაცია კი გულისხმობს შენობის არასწორ გამოყენებას და მოვლა-შენახვას (მიმდინარე და კაპიტალური რემონტის არადროული ჩატარება, ან მისგან საერთოდ თავის არიდება). მეორე საფუძველი არის მფლობელის მიერ სათანადო ღონისძიების გატარება საშიშროების თავიდან აცილების მიზნით. „სათანადო ღონისძიებში“ იგულისხმება მფლობელის მიერ იმ საშუალებების ჩატარება, რომელიც უკავშირდება შენობა-ნაგებობის, ან მოწყობილობის ჩამოქცევის გამომწვევი მიზეზების ლიკვიდაციას, მის აშენება – გამაგრებას, რემონტს და ა. შ. ეს უკავშირდება, აგრეთვე, იმ საფრთხის სალიკვიდაციო საქმიანობას, რომელიც წარმოიშვა აშენებისას დაშვებული შეცდომების გამო. კიდევ უფრო საყურადღებოა 836-ე პარაგრაფის მეორე პუნქტის შინაარსი, კერძოდ, მიწის ნაკვეთის ადრინდელი მფლობელი ზიანისათვის აგებს პასუხს, თუ შენობის დანგრევა ან ნაწილობრივ დაშლა მოხდა მისი მფლობელობის შეწყვეტიდან შემდეგი წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მან თავისი მფლობელობის პერიოდში გამოავლინა სათანადო მზრუნველობა, ან მის შემდგომ მფლობელს შეეძლო ამ საშიშროების თავიდან აცილება სათანადო მზრუნველობით.

აღნიშნულ პარაგრაფში პირდაპირ არ არის მითითებული, აგებს თუ არა მფლობელი პასუხს, თუ მან არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა მშენებლობისას დაშვებული შეცდომის გამო, თუმცა, მისი შინაარსიდან გამომდინარე, ასეთ შემთხვევაში მფლობელს არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა. აამის საფუძველს იძლევა 836-ე პარაგრაფის პირველი პუნქტის ბოლო წინადადება, რომლის თანახმად, მფლობელი მხოლოდ იმ შემთხვევაში

იქნება ვალდებული, საშიშროების თავიდან აცილების მიზნით მიიღოს ზომები, თუკი მან იცის, ან შეეძლო სცოდნოდა, რომ არსებობს ნაგებობის ან მოწყობილობის ჩამონგრევის ან ნაწილობრივ ჩამოქცევის საფრთხე, რომელიც შეიძლება არსებობდეს როგორც აშენებისას დაშვებული შეცდომების გამო, ისე შემდგომში მისი ხანგრძლივი ან არასწორი ექსპლუატაციის შედეგად. ამასთან, მნიშვნელოვანია ის მომენტიც, რომ პარაგრაფში დაკონკრეტებულია, თუ ვინ ითვლება მფლობელად, რომელსაც უნდა დაეკისროს ზემოაღნიშნული პასუხისმგებლობა, კერძოდ, ნამდვილ მფლობელად ითვლება პირი, რომელიც ფლობს, როგორც მესაკუთრე. ამდენად, აღნიშნულ შემთხვევაში მფლობელად არ ითვლება პირი, რომელიც დროებით მოსარგებლეა, მაგალითად – დამქირავებელი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 837-ე პარაგრაფი არეგულირებს იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხს, რომელიც ფლობს ნაგებობას, ან სხვა მოწყობილობას სხვის მიწის ნაკვეთზე. ამდენად, შენობა-ნაგებობის ან სხვა მოწყობილობის, ან მისი ნაწილის ჩამოქცევის შედეგებზე პასუხს აგებს არა მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, არამედ მასზედ განლაგებული მოწყობილობების მფლობელი (მესაკუთრე), მაგალითად: აღნაგობის უფლების მქონე პირი, უზუფრუქტუარი და სხვა.

აღნიშნული პირის პასუხისმგებლობა რეგულირდება 836-ე პარაგრაფის შესაბამისად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს, აგრეთვე, იმ პირის პასუხისმგებლობას, რომელსაც ევალება შენობის გამართულ მდგომარეობაში შენახვა და ეს ვალდებულება მას დაკისრებული აქვს მფლობელის (მესაკუთრის) მიერ. 838-ე პარაგრაფის შესაბამისად, პირი, რომელიც მფლობელის ინტერესების შესაბამისად კისრულობს მიწის ნაკვეთზე განლაგებული ნაგებობის, ან მოწყობილობის გამართულ მდგომარეობაში შენახვის ვალდებულებას, ან მისთვის მინიჭებული სარგებლობის უფლებისას, უნდა დაიცვას შენობა, ან მოწყობილობა გამართულ მდგომარეობაში, მას აკისრია ისეთივე პასუხისმგებლობა, შენობის ჩამოქცევით ან ნაწილობრივ დაშლით გამოწვეული ზიანისათვის, როგორც მფლობელს. აღნიშნული ურთიერთობა და მისგან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები მფლობელსა და ვალდებულ პირს შორის შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულების საფუძველზე, კერძოდ: დავალების ხელშეკრულებით, როცა პირი კისრულობს შენობის გამართულ მდგომარეობაში შენახვის ვალდებულებას. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პირს ევალება სხვის მიწის ნაკვეთზე განლაგებული ნაგებობის ან მოწყობილობის მხოლოდ შენახვის, დაცვის და მოვლის ვალდებულება, ე.ი. არ მოხდეს მისი დაზიანება. იგივე პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს პირს, რომელსაც აქვს სარგებლობის უფლება (მაგალითად: ქირავნობის ხელშეკრულება). ასეთ შემთხვევაში პირს ევალება, ასევე, შენობის ან მოწყობილობის სათანადო მდგომარეობაში შენახვის, მოვლისა და მისგან გამომდინარე საფრთხის აღკვეთის მოვალეობაც, შესაბამისი ღონისძიებების გაწევით. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პასუხს აგებს ზიანისათვის, რომელიც დადგა შენობის ან მოწყობილობის ჩამოქცევით ან ნაწილობრივ დაშლით. ეს პასუხისმგებლობა მას ეკისრება როგორც მფლობელს.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის განხილული ნორმები დეტალურად არეგულირებს შენობა-ნაგებობიდან და სხვა მოწყობილობებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების საკითხებს. ასევე, დაზუსტებულია, კონკრეტულ შემთხვევაში მფლობელისა და მოსარგებლე პირის სტატუსი, რაც ხელს უწყობს და ამარტივებს პასუხისმგებლობის გამიჯვნას.